

## „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივი დეკლარაცია ვილნიუსი, 2013 წლის 28-29 ნოემბერი

### „აღმოსავლეთ პარტნიორობა“: გასავლელი გზა

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში ერთმანეთს შეხვდნენ სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ბელარუსის რესპუბლიკის, საქართველოს, მოლდოვას რესპუბლიკის და უკრაინის სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები, ევროკავშირის წარმომადგენლები და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები. სამიტს ასევე დაესწრენ ევროპარლამენტის პრეზიდენტი და რეგიონების კომიტეტის (Committee of the Regions), ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის (European Economic and Social Committee), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონულ და ადგილობრივ თვითმართველობათა კონფერენციის (CORLEAP) და ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლები.

2009 წლის მაისის პრადის სამიტმა დასაბამი დაუდო სტრატეგიულ და ამბიციურ „აღმოსავლეთ პარტნიორობას“, როგორც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სპეციფიურ განზომილებას, რათა გაგრძელებულიყო აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მონაწილე სახელმწიფოების მდგრადი რეფორმების პროცესების მხარდაჭერა, დაინტერესებული პარტნიორების ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარების მიზნით. პრადსა და ვარშავაში შეთანხმებული დღის წესრიგი მოიცავს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სახელმძღვანელო პრინციპებს. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მზაობას, სრულად განახორციელონ ეს პრინციპები.

ვილნიუსის სამიტის მონაწილეებმა განიხილეს პარტნიორობის ფარგლებში 2011 წლის ვარშავის სამიტის შემდეგ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი, რამაც აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორები ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოვა, და სამომავლო, ამბიციურ დღის წესრიგზე შეთანხმდნენ. ამ მხრივ, მათ ხაზი გაუსვეს შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას, განსაკუთრებით, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეფორმების განხორციელების კუთხით.

სამიტის მონაწილეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმ მნიშვნელობას, რასაც ისინი ანიჭებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობას“, რომელიც დაფუძნებულია საერთო ინტერესებსა და ვალდებულებებზე, ისევე როგორც ერთობლივ მფლობელობაზე, პასუხისმგებლობაზე, დიფერენციაციასა და გაზიარებულ ანგარიშვალდებულებაზე. პარტნიორობის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო პრინციპებისა და

ფუნდამენტური ღირებულებების ერთგულება, რომელთა შორისაა დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, ასევე, საბაზრო ეკონომიკის, მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის პრინციპების დაცვა. „აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ ჩართული ყველა ქვეყანა ამ ფასეულობებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების ერთგულია შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების საფუძველზე და ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო - „ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების“ საფუძველზე (TEU).

სამიტის მონაწილეები აღიარებენ და მიესალმებიან რა მიღწეულ პროგრესს, აღნიშნავენ, რომ გასაკეთებელი კვლავ ბევრი რჩება დემოკრატიის, ადამიანის ძირითადი თავისუფლებებისა და კანონის უზენაესობის პატივისცემის მიმართულებით არსებული გამოწვევების დასაძლევად. ამ მხრივ, სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ აღნიშნული საერთო ღირებულებების პატივისცემის მიმართულებით პროგრესის მნიშვნელობას, განსაკუთრებით სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების, კორუფციის ეფექტიანად აღმოფხვრისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების გზით.

ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ვარშავის სამიტის შემდეგ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც მიზნად ისახავდა დემოკრატიის, კეთილდღეობის, სტაბილურობის, ინტენსიური ურთიერთობებისა და ურთიერთგაცვლის საერთო სივრცის შექმნას. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ რა ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყნებს შორის მტკიცე კავშირების განვითარების მნიშვნელობას, თანხმდებიან იმაზე, რომ ევროპის კონტინენტზე სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. კონფლიქტების მოგვარება, ნდობის აღდგენა და კარგი სამეზობლო ურთიერთობების ჩამოყალიბება აუცილებელია რეგიონში ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და თანამშრომლობისათვის.

ვილნიუსის სამიტის მონაწილეები გულითადად მიესალმებიან მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ევროკავშირსა და ზოგიერთ პარტნიორ ქვეყანას შორის ასოცირების შესახებ ახალი, ამბიციური, შეთანხმებების გაფორმების მიმართულებით, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით. დღეს, ასოცირების შესახებ შეთანხმებებზე მოლაპარაკებების დასრულების შედეგად, მოხდა ევროკავშირსა და მოლდოვას რესპუბლიკას და ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების პარაფირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით. სამიტის მონაწილეები მხედველობაში იღებენ უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებას, ევროკავშირსა და უკრაინას შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით ხელმოწერისათვის მოსამზადებელი პროცესის დროებით შეჩერების თაობაზე. ისინი ასევე ითვალისწინებენ ევროკავშირთან უკრაინის პოლიტიკური

ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ უპრეცედენტო საზოგადოებრივ მხარდაჭერას. ევროკავშირი და უკრაინა განმეორებით ადასტურებენ მზაობას შეთანხმების ხელმოწერისათვის, 2013 წლის ევროკავშირ-უკრაინის სამიტზე ხაზგასმულ სამ სფეროში ხელშესახები პროგრესისა და გადამწყვეტი ქმედებების განხორციელების საფუძველზე. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი პროგრესი უკვე იქნა მიღწეული. ასოცირების შესახებ შეთანხმებების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორ ქვეყნებში მიმდინარე შორსმიმავალ პოლიტიკურ და სოციო-ეკონომიკურ რეფორმებს და გაამარტივოს ევროკავშირთან, მის წესებთან და სტანდარტებთან ყოვლისმომცველი დაახლოების პროცესი. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების პროცესში მიღწეულ პროგრესს და არსებული ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე, წინსვლის გაგრძელებისაკენ მოუწოდებენ. ევროკავშირი მზადაა აზერბაიჯანთან DCFTA-ზე, როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების ნაწილზე მოლაპარაკებების დასაწყებად მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში“ (WTO) გაწევრიანდება. დღეს ევროკავშირმა და სომხეთმა განმეორებით დაადასტურეს მზაობა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, საერთო ინტერესის ყველა სფეროში თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და გაძლიერების მიმართ, ხაზი გაუსვეს რა ურთიერთობების არსებული ბაზისის გადახედვისა და განახლების მნიშვნელობას. „ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, სამიტის მონაწილეებმა განმეორებით დაადასტურეს თითოეული პარტნიორის სუვერენული უფლება, თავისუფლად აირჩიოს ამბიციის დონე და მიზნები, რომლისკენაც ის მიისწრაფვის ევროკავშირთან ურთიერთობებში.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ძირითად მიზნად რჩება მობილურობის გაზრდა უსაფრთხო და კარგად მართულ გარემოში. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები გულითადად მიესალმებიან იმ პროგრესს, რომელსაც ზოგიერთმა პარტნიორმა ქვეყანამ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მიმართულებით მიაღწია სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების განხორციელების გზით. ამ კონტექსტში, ისინი ასევე მიესალმებიან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმებასა და განხორციელებას.

ვილნიუსის სამიტის მონაწილეები კიდევ ერთხელ აღიარებენ ზოგიერთი პარტნიორი ქვეყნის ევროპულ მისწრაფებებსა და ევროპულ არჩევანს და მათ ნებას მტკიცე და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობისთვის. ამ კუთხით, ისინი მხედველობაში იღებენ ამ პარტნიორების ერთგულებას აღნიშნული მიზნების მიღწევისადმი. მონაწილეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განსაკუთრებულ როლს იმ ქვეყნების მხარდასაჭერად, რომლებიც ისწრაფვიან ევროკავშირთან უფრო ახლო ურთიერთობების დამყარებისკენ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ასოცირების შესახებ

შეთანხმებები, რომლებიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს. საერთო ღირებულებების პატივისცემა და ასოცირების შესახებ შეთანხმებების განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ურთიერთობების სამომავლო პროგრესულ განვითარებაში.

ვილნიუსის სამიტის მონაწილეებმა განსაზღვრეს ის მიზნები, რომლებიც პატნიორობამ 2015 წლისთვის უნდა განახორციელოს:

- ევროკავშირსა და პარტნიორებს შორის ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება;
- შემდგომი ნაბიჯების გადადგმა დემოკრატიის გაძლიერების, ადამიანის უფლებების პატივისცემისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის მიმართულებით, მათ შორის სასამართლო სისტემის რეფორმის გაგრძელებისა და სამართალდამცავი სისტემის გაძლიერების გზით;
- შესაბამის შემთხვევებში, 2014 წლის შემოდგომისთვის ასოცირების შესახებ შეთანხმებების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩათვლით, ხელმოწერისა და დროებითი გამოყენების უზრუნველყოფა, ამგვარად განხორციელების ფაზაზე გადასვლა და შეთანხმებების რატიფიკაციის პროცესში პროგრესის ხელშეწყობა;
- შესაბამის შემთხვევებში, 2014 წელს, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, ასოცირების დღის წესრიგის შემუშავება, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებებისათვის/DCFTA-თვის მომზადებისა და მათი განხორციელებისა და მონიტორინგის ძირითადი ინსტრუმენტია;
- ევროკავშირის მიერ დახმარების გაგრძელება, პარტნიორთა რეფორმების დღის წესრიგების მხარდასაჭერად, მათ შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების, DCFTA-ს ჩათვლით, დროებითი გამოყენებისა და განხორციელების გათვალისწინებით;
- შესაბამისი აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების მიერთება პან-ევროპულ-ხმელთაშუაზღვისპირეთის წარმოშობის შეღავათიანი წესების შესახებ კონვენციაზე და პროგრესის მიღწევა საერთო ტრანზიტის კონვენციაზე მიერთების კუთხით, ისევე, როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში შემდგომი ნაბიჯების თვალსაზრისით;
- ეტაპობრივი წინსვლა უვიზო რეჟიმის შემოღების მიმართულებით, შესაბამის დროს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უსაფრთხო და კარგად მართული მობილურობის პირობებში;
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ბიზნესის განზომილების გაძლიერება, მათ შორის პარტნიორ ქვეყნებში ბიზნესგარემოს საგრძნობლად გაუმჯობესების გზით, რაც სარგებელს მოუტანს ადგილობრივ, რეგიონულ და ევროპულ მცირე და საშუალო საწარმოებსა (SMEs) და ბიზნესებს;

- ცოდნისა და ინოვაციების საერთო სივრცის ეტაპობრივი განვითარება, კვლევისა და ინოვაციების დარგში თანამშრომლობის რამდენიმე არსებული მიმართულებების გაერთიანების მიზნით;
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი განზომილების შემდგომი გაძლიერება;
- ტრანსპორტის ყველა სფეროში შემდგომი რეგულაციური დაახლოებისაკენ სწრაფვა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელება, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სატრანსპორტო ქსელში, ევროკავშირის მოქმედი პროგრამებისა და ინსტრუმენტების საშუალებით; ევროპული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უფრო მჭიდრო ჩართულობის ხელშეწყობა და ტრანსევროპული სატრანსპორტო ქსელების (TEN-T) ძირითად ქსელთან კავშირების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროექტების პრიორიტეტიზაცია;
- სტრატეგიული მრავალმხრივი პროექტების ხელშეწყობა და გაძლიერება, ხელსაყრელი, გამჭვირვალე რეგულაციური და ფინანსური გარემოს შექმნის გზით, რათა მოხდეს საერთო ინტერესების სფეროში შემავალი პროექტებისა და, შესაბამისი ქვეყნებისათვის, ენერგოგაერთიანების ინტერესებში არსებული პროექტების განხორციელება;
- საჯარო ინსტიტუციური შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება ევროკავშირის დახმარებით;
- თვალსაჩინო და ეფექტიანი მრავალმხრივი საფლაგმანო ინიციატივების მხარდაჭერა და გაძლიერება, მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, პოლიტიკური დიალოგისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის გაერთიანების გზით;
- ხალხთა შორის კონტაქტების შემდგომი გაძლიერება, მათ შორის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებიდან მონაწილეთათვის Horizon 2020-ის ფარგლებში ახალი “Erasmus +”, “Creative Europe” და Maria Skłodowska-Curie-ს პროგრამების გახსნის გზით;
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ თვალსაჩინოების სტრატეგიის განხორციელება.

სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მომავალში ასოცირების შესახებ შეთანხმებების, ასევე შესაბამის შემთხვევებში DCFTA-ს, ეფექტიანი განხორციელება, რეფორმების გატარებასთან ერთად, განაპირობებს ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან მაქსიმალურად დაახლოებას, რაც მიგვიყვანს პარტნიორობის ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციამდე ევროკავშირის შიდა ბაზარზე და ამგვარად, ეკონომიკური სივრცის შექმნამდე. ისინი იღებენ ვალდებულებას მომდევნო სამიტზე განიხილონ ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით განსახორციელებელი შესაძლო სამომავლო ნაბიჯები, ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზნით, ამ დეკლარაციისა და ასოცირების შესახებ შეთანხმებების, DCFTA-ს ჩათვლით, შესაბამისი დებულებების განხორციელების გათვალისწინებით. ამ მიზნით, სამიტის მონაწილეები ევროკომისიას

მიმართავენ წინადადებით, შესაბამის ეტაპზე ჩაატაროს განხორციელებადობის შეფასება (feasibility study). სამიტის მონაწილეები თანხმდებიან, რომ პარტნიორებსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის ამგვარი ამბიციური გრძელვადიანი ხედვა მისასაღმებელია ვინაიდან, მას ასევე, წვლილი შეაქვს მთელს ევროპასა და მის მიღმა, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებსა და სუვერენულ არჩევანზე დამყარებული, უფრო ფართო საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის სივრცის შექმნის გრძელვადიანი მიზნის მიღწევაში.

ევროკავშირსა და მის აღმოსავლეთ ევროპულ პარტნიორებს შორის მზარდმა ურთიერთობებმა, განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროში, შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ევროპის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაში, ასევე, მდგრადი, ინკლუზიური და ინტელექტუალური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნაში და ამგვარად, სტაბილურობის განმტკიცებაში.

მეტი დიფერენციაცია და გაზიარებული ანგარიშვალდებულება ყოველ პარტნიორს თავისი მისწრაფებებისა და საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს. რეფორმების ტემპი მომავალშიც განსაზღვრავს თანამშრომლობის ინტენსივობას, ხოლო რეფორმების გატარების პროცესში ყველაზე აქტიურად ჩართული პარტნიორები, მეტ სარგებელს მიიღებენ ევროკავშირთან ურთიერთობით, ევროპის განახლებული სამეზობლო პოლიტიკის სტიმულზე დაფუძნებული მიდგომის („მეტი მეტისათვის“) შესაბამისად. გაძლიერებული და მდგრადი რეფორმების განხორციელება საერთო მიზანს ემსახურება - მოხდეს აღმოსავლეთ ევროპული ქვეყნების წინსვლის მხარდაჭერა მტკიცე და მდგრადი დემოკრატიის მიმართულებით, სადაც უპირატესია კარგი მმართველობა და კანონის უზენაესობა, საბაზრო პრინციპების დაცვით განვითარებულ ეკონომიკასთან ერთად, რაც სამართლიანი და მდგრადი განვითარების საფუძველია. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ, რომ ეს ამბიციური დღის წესრიგი მოითხოვს უფრო ფართო საზოგადოების ჩართულობას და აქედან გამომდინარე, მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დღის წესრიგში პარლამენტების, სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების, ბიზნეს გაერთიანებებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას.

სამიტის მონაწილეები თანხმდებიან ზემოაღნიშნულ, ზოგად პოლიტიკურ სახელმძღვანელო პრინციპებზე 2014-15 წლებისათვის. ეს დეკლარაცია, ასოცირების ახალ დღის წესრიგებთან, მრავალმხრივი ურთიერთობების სფეროში სხვა არსებულ და სამომავლო დოკუმენტებთან და მრავალმხრივი პლატფორმების სამუშაო პროგრამებთან ერთად, წარმოადგენს 2014-15 წლებისათვის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მკაფიოდ განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას.

## მიღწევები 2011-2013 წლებში და 2014-2015 წლების დღის წესრიგი

### ვარშავის სამიტიდან ვილნიუსის სამიტამდე განხორციელებული პროგრესი

1. ვილნიუსის სამიტი წარმოადგენს გადამწყვეტ მომენტს აღმოსავლეთ პარტნიორებთან ევროკავშირის ურთიერთობაში. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, ვარშავის სამიტის შემდგომ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის დაჩქარების, კარგად მართულ და უსაფრთხო გარემოში მობილურობის გამარტივების, მრავალმხრივი განზომილების გაძლიერებისა და დარგობრივი თანამშრომლობის მხარდაჭერის კუთხით. ისინი აღიარებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საგზაო რუქის მიერ შესრულებულ როლს პარტნიორობის მიზნების განხორციელების წარმართვისა და მონიტორინგის თვალსაზრისით.

2. სამიტის მონაწილეები ელიან, 2014 წელს, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების დღის წესრიგების, როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმებების განხორციელებისათვის მომზადებისა და მათი რეალიზაციის ხელშემწყობი ინსტრუმენტების, შემუშავებას, რომელთა დახმარებით, შეიქმნება ყოვლისმომცველი და პრაქტიკული ჩარჩო; ეს შესაძლებელს გახდის ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის მონიტორინგსა და განვითარებას. ისინი მიესალმებიან, უკრაინასთან ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების თვალსაზრისით გაწეულ ერთობლივ სამუშაოს.

3. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ჯეროვნად აღიარებენ პარტნიორი ქვეყნების მიერ გრძელვადიანი რეფორმების დაწყებისა და განხორციელების მიზნით გაწეულ ხელშესახებ ძალისხმევას და მათ მიერ, ამ პროცესის გაგრძელების თვალსაზრისით აღებულ ვალდებულებას. ისინი კმაყოფილებას გამოხატავენ, პარტნიორი ქვეყნებისთვის რეფორმების გატარების კუთხით ევროკავშირის გაზრდილი მხარდაჭერის გამო, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეზე, გაძლიერებული პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გზით.

4. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან, ევროკავშირის მიერ 2010-13 წლებში გაწეულ 2.5 მილიარდი ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას, რომლის მიზანიც იყო დემოკრატიული განვითარების გაგრძელება და ინსტიტუტების მშენებლობა, ინტელექტუალური, მდგრადი და ინკლუზიური ზრდის ხელშემწყობა და ეკონომიკური განვითარება. მხარს უჭერენ რა სტიმულზე დაფუძნებული (incentive based) მიდგომის განხორციელებას, ისინი აღნიშნავენ, რომ 2012-13 წლებში გამოყოფილ იქნა მნიშვნელოვანი დამატებითი სახსრები იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ყველაზე დიდ პროგრესს მიაღწიეს ღრმა და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობის კუთხით. ისინი აღიარებენ ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების (CIB) ინიციატივის ფარგლებში იდენტიფიცირებული ძირითადი რეფორმების სფეროებში განხორციელებულ დიდ ძალისხმევას და ამ კუთხით, ევროკავშირის მიერ გაწეულ

მნიშვნელოვან დახმარებას. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები კმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკმა პარტნიორ ქვეყნებში თავისი საკრედიტო აქტიურობა 2008 წელს არსებული 170 მლნ. ევროდან გასული წლის მონაცემებით 934 მლნ. ევრომდე გაზარდა და, რომ ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი აძლიერებს კერძო სექტორის განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განახლების უწყვეტ მხარდაჭერას პოლიტიკური დიალოგისა და კონსულტაციების გზით. სამიტის მონაწილეები დადებითად აფასებენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნების მხარდაჭერის კუთხით ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაძლიერებულ ძალისხმევას, განვითარების მიზნით ორმხრივი თანამშრომლობის ჩათვლით.

5. უსაფრთხო და კარგად მართულ გარემოში მოქალაქეების მობილურობა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელოვანი ელემენტია. თითოეული პარტნიორი ქვეყნისა და ევროკავშირისთვის სავიზო ლიბერალიზაცია კვლავ საერთო მიზანს წარმოადგენს, რასაც სარგებელი მოაქვს ზოგადად მოსახლეობისათვის. უვიზო რეჟიმისათვის მზადყოფნა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად, უსაფრთხო და კარგად მართული გარემოსთვის საჭირო პირობების არსებობის გათვალისწინებით. რამდენიმე აღმოსავლეთ ევროპულმა პარტნიორმა ქვეყანამ უკვე წარმატებით გაიარა სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების განხორციელების პირველი ეტაპი. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან სომხეთის რესპუბლიკასთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების გაფორმებას და ელიან მათ ეფექტიან განხორციელებას. ისინი ელიან ევროკავშირსა და სომხეთს შორის მობილურობის გაზრდის კუთხით შემდგომ ნაბიჯებს. ისინი, ასევე, მიესალმებიან დღეს აზერბაიჯანთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას და ელოდებიან რეადმისიის შესახებ შეთანხმების ახლო მომავალში ხელმოწერას. ისინი ელიან ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის მობილურობის გაზრდის კუთხით მომდევნო ნაბიჯებს. სამიტის მონაწილეები, სამომავლოდ ფიქრობენ სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებებზე მოლაპარაკებების დაწყებას ბელარუსთან. მონაწილეები ასევე, მოუწოდებენ სავიზო კოდექსით გათვალისწინებული მოქნილი მექანიზმების გამოყენებისკენ. ამ კონტექსტში, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან მოლდოვას რესპუბლიკის მიღწევებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით დასახული ნიშნულების აღსრულების კუთხით და ევროკომისიის მიერ ამ თვალსაზრისით უახლესი პროგრესის ანგარიშის წარმოდგენას. ისინი მხედველობაში იღებენ ევროკომისიის საკანონმდებლო წინადადებას ევროკომისიის N539/2001 რეგულაციაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. ისინი, ასევე მიესალმებიან უკრაინის მიერ მიღწეულ ხელშესახებ პროგრესს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის განხორციელების დასრულების მიმართულებით და საქართველოს ძალიან კარგ პროგრესს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის განხორციელების პროცესში. ისინი ელიან ამ ქვეყნებთან სავიზო ლიბერალიზაციის



დიალოგებში შემდგომ პროგრესს. აღნიშნული გეგმები უნდა წარმოადგენდეს მოდელს ევროკავშირთან სავიზო დიალოგში ჩართვის მოსურნე სხვა პარტნიორი ქვეყნებისთვის, თითოეული ქვეყნის სპეციფიკისა და მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით.

6. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან მიგრაციასა და მობილურობასთან დაკავშირებით გლობალური მიდგომის (შესაბამისად, მოლდოვის რესპუბლიკასთან, საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკასთან „პარტნიორობა მობილურობისათვის“) პროგრამების ეფექტიან განხორციელებას. ისინი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი-მოლდოვას რესპუბლიკის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ შეფასებამ და ამ ქვეყანასთან მიგრაციის გაფართოებული პროფილის შემუშავებამ აჩვენა მიგრაციის სფეროში ფაქტებზე დაფუძნებული პოლიტიკის მნიშვნელობა, რომელსაც, ასევე შეეძლება ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სხვა ქვეყნებს შორის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში თანამშრომლობისთვის სახელმძღვანელოს როლის შესრულება. ისინი, ასევე მიესალმებიან აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან „პარტნიორობა მობილურობისათვის“ გაფორმების კუთხით მიღწეულ პროგრესს, ელიან ახლო მომავალში მის ხელმოწერას და განიხილავენ მსგავსი თანამშრომლობის სხვა ევროპელ პარტნიორებთან დაწყების საკითხსაც. აღიარებენ რა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ მნიშვნელოვან როლს, როგორც უმთავრეს ორმხრივ ფორმატს მიგრაციისა და მობილურობის სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით, მონაწილეები მოუწოდებენ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებს მათ ეფექტიან განხორციელებაში კიდევ უფრო მეტი ჩართულობისაკენ.

7. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში გაძლიერებულ თანამშრომლობასა და მიღწეულ პროგრესს და ლუქსემბურგში 2013 წლის 7-8 ოქტომბერს გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრის შედეგებს. ამ სფეროში რეფორმების ეფექტიანი განხორციელება წვლილს შეიტანს ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში. მართლმსაჯულების სფეროში, რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო და განხორციელდა დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობაზე ორიენტირებული თანამშრომლობის მსხვილი პროგრამები.

8. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი განზომილების ფარგლებში საქმიანობის მნიშვნელოვან ზრდას, ორმხრივ დიალოგსა და თანამშრომლობაზე დამატებით. ისინი ხაზს უსვამენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ყველა მონაწილის ჩართულობის მნიშვნელობას პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილების საქმიანობებში. პარტნიორობის მრავალმხრივმა განზომილებამ მნიშვნელოვანი ფორუმი შექმნა გარდამავალ პერიოდთან, რეფორმებსა და მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, პარტნიორი ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. ამით პარტნიორებს მიეცათ დამატებითი გზების მოძიების საშუალება,

რეფორმების განხორციელების მხარდაჭერისა და საჭიროებისამებრ, ევროკავშირთან დაახლოების ხელშეწყობის მიზნით. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერებას ისეთ სფეროებში, როგორცაა: ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა, სტატისტიკა, საბაჟო, გადასახადები, საზღვრის მართვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემო და კლიმატის ცვლილება, განათლება, ახალგაზრდობა და ტრენინგი, კულტურა, ბიზნეს-გარემო, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ჩათვლით, კატასტროფების რისკის შემცირება, კვლევა და ინოვაცია, ინფორმაციული საზოგადოება და მედია, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება, მიგრაცია და თავშესაფრის მოთხოვნა, საჯარო ადმინისტრირების რეფორმები, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ კუთხით, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან თანამშრომლობის, მათ შორის საფლაგმანო ინიციატივების, განხორციელებაში მიღწეულ პროგრესს, რასაც ხელშესახები სარგებელი მოაქვს პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისთვის.

9. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგების დაწყებას და დღემდე წარმატებით ჩატარებულ სამ რაუნდს (კიშინეუ, 2012 წლის ივლისი; თბილისი, 2013 წლის თებერვალი; ერევანი, 2013 წლის სექტემბერი). ამ ფორმატმა ხელი შეუწყო საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის რეგულარულ, არაფორმალურ გარემოში ინფორმაციის გაცვლას როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, ისე, საერთო ინტერესთა სფეროში არსებულ საგარეო პოლიტიკურ თემებზე; ახალმა ფორმატმა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში თანამშრომლობა განავითარა ასევე ძირითად სექტორებში, პარტნიორი ქვეყნებიდან შესაბამისი დარგობრივი მინისტრების ჩართვის გზით. სამიტის მონაწილეებს სურვილი აქვთ, საჭიროებისამებრ, გააღრმავონ პოლიტიკური ასოცირება, გააძლიერონ პოლიტიკური და უსაფრთხოების პოლიტიკის დარგში დაახლოების პროცესი და გაზარდონ ეფექტიანობა საგარეო პოლიტიკის სფეროში.

10. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში დიალოგისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას, როგორც ევროკავშირისა და დაინტერესებულ პარტნიორებს შორის პოლიტიკური ასოცირების ინტენსიფიკაციის ძირითად კომპონენტს. ისინი მიესალმებიან საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) პანელის შექმნას, რომლის მიზანია საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით მიმდინარე განვითარებებზე, მათ შორის კრიზისის მართვის ოპერაციებსა და წვრთნებზე, დიალოგის ხელშეწყობა. გარდა ამისა, პარტნიორობის ორმხრივი განზომილების ფარგლებში, CSDP მისიებში მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმებების გაფორმება და განხორციელება უზრუნველყოფს პარტნიორ ქვეყნებს ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე კრიზისის მართვის ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საკანონმდებლო ბაზითა და პრაქტიკული საშუალებებით. ისინი მიესალმებიან უკრაინის წვლილს ევროკავშირის რიგ ოპერაციებში. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან მოლდოვას რესპუბლიკასთან

მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმების გაფორმებას და ძალაში შესვლას და მოლდოვას დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის ოპერაციებში; ასევე მიესალმებიან, დღეს საქართველოსთან ევროკავშირის მისიებში მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმების ხელმოწერას და აღნიშნავენ, რომ განიხილება მოლაპარაკებების დაწყება სხვა პარტნიორ ქვეყნებთანაც. ამ კონტექსტში, სამიტის მონაწილეები, ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმებების გაფორმების მნიშვნელობას დაინტერესებულ პარტნიორებთან, რომლებსაც წვლილი შეაქვთ CSDP მისიებში.

11. ტრანსპორტის საკითხებში თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან იმ მიღწევებს, რომელთა მიზანია ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს შორის ინფრასტრუქტურული კავშირების გაუმჯობესება. ისინი კიდევ ერთხელ აღნიშნავენ 2013 წლის 9 ოქტომბერს, ლუქსემბურგში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ტრანსპორტის მინისტრთა შეხვედრაზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონული სატრანსპორტო ქსელის ინდიკატიური რუქის დამტკიცებას, რომელშიც მითითებულია ტრანს-ევროპულ სატრანსპორტო ქსელთან დამაკავშირებელი გზები და მოცემულია შესაბამისი პრიორიტეტული პროექტების სია, როგორც სატრანსპორტო და ლოგისტიკური კავშირების გაუმჯობესების კუთხით პირველი კონკრეტული ინიციატივები. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან, უკრაინასთან ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირებას და საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკასთან ანალოგიური შეთანხმებების წარმატებულ გაფორმებასა და განხორციელებას, რამაც გააუმჯობესა კავშირები და მეტი არჩევანი მისცა მგზავრებს. ისინი მიესალმებიან აზერბაიჯანთან საერთო საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყებას. ასევე, მხედველობაში იღებენ სომხეთის მზადყოფნას ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების კუთხით. ყველა ამ შეთანხმებას კონკრეტული წვლილი შეაქვს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნის განხორციელებაში - დაახლოვოს ევროკავშირი და მისი პარტნიორები ერთმანეთთან.

12. სამიტის შესაბამისი მონაწილეები მიესალმებიან ერთობლივ მუშაობას ორმხრივი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით, მათ შორის ქსელების განვითარებისა და ევროკავშირის შიდა ენერგობაზარზე ეტაპობრივი ინტეგრაციის, ასევე, ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობის გზით. ისინი ხელს შეუწყობენ ინკლუზიური და ღია პოლიტიკის გატარებას ენერგოუსაფრთხოების, ტრანსპორტირებისა და მიწოდების სფეროში. სამიტის მონაწილეები აღიარებენ „სამხრეთ დერეფნის“ გახსნის მიმართულებით მიღწეულ არსებით განვითარებებს, სამხრეთ კავკასიის მილსადენის და ტრანს-ადრიატიკის მილსადენის დაგეგმილი მოდერნიზაციისა და კასპიის ზღვის რეგიონის და ევროკავშირის პირდაპირ დამაკავშირებელი გზის ტრანსპორტირების სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების ჩათვლით. ისინი აღნიშნავენ აზერბაიჯანის სტრატეგიულ როლს ევროპის ენერგომომარაგების დივერსიფიკაციის მხრივ. ისინი მოელიან ევროკავშირის შემდგომ

დახმარებას უკრაინის გაზის მიწოდების სისტემის მოდერნიზაციის მიზნით, რომელიც ევროპული ქსელის მნიშვნელოვანი ნაწილია; ასევე ელიან უკრაინის ძალისხმევას, რათა გააგრძელოს შემდგომი აუცილებელი რეფორმები გაზის სექტორში, და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან დიალოგის დასრულებას, რათა პირველი სესხის გამოყოფა მოხდეს გაზის საგანგებო ტრანზიტის პროექტისათვის. მონაწილეები აღნიშნავენ DCFTA-ს კომპონენტში არსებულ მძლავრ დებულებებს ენერგეტიკის საკითხებზე, უკრაინისა და მოლდოვას რესპუბლიკის მიერ გაწეულ სამუშაოს ენერგოგაერთიანების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით; ევროკავშირის მიმდინარე თანამშრომლობას უკრაინასთან ბუნებრივი აირის ორმხრივი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით; „ადრიატიკის გაზის კორიდორის“ განვითარებას, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ხორვატიას, უნგრეთსა და უკრაინას; აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის დამაკავშირებელი პროექტის (AGRI LNG) მომზადების მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევას; მოლდოვასა და ევროკავშირის დამაკავშირებელი გაზისა და ელექტროენერჯის პრიორიტეტული პროექტების განსაზღვრის მხრივ მიღწეულ პროგრესს. ისინი ასევე ითვალისწინებენ საქართველოს განაცხადს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების თაობაზე. ისინი მხედველობაში იღებენ სომხეთის აქტიურ სადამკვირვებლო საქმიანობას ენერგეტიკულ გაერთიანებაში. განხილვებმა ცხადყო, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობები უკრაინისათვის, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს აღმოსავლეთ ევროპის გაზის ცენტრის როლი, მას შემდეგ, რაც შემუშავდება უკრაინის გაზის მიწოდებისა და შენახვის საშუალებების თაობაზე ეფექტიანი, გრძელვადიანი სტრატეგია, ენერგეტიკული გაერთიანების ფარგლებში უკრაინის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. სამიტის მონაწილეები ითვალისწინებენ ბელარუსის მნიშვნელოვან წვლილს ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებაში, მნიშვნელოვანი ენერგორესურსების ტრანზიტის გზით, და მხარს უჭერენ შემდგომ დიალოგს ენერგეტიკის სფეროში, ევროკომისიასა და ბელარუსის მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ 2009 წლის დეკლარაციის საფუძველზე. დიალოგი ფოკუსირებული იყო ენერგეტიკული უსაფრთხოების, რეგულირების, ქსელების, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის საკითხებზე. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროკავშირის ბირთვულ „სტრეს-ტესტებში“ უკრაინის სრულ მონაწილეობას, მათ შორის ექსპერტული შეფასების პროცესში, და ასევე, სომხეთისა და ბელარუსის აქტიურ ჩართულობას. ისინი მიესალმებიან ბირთვული უსაფრთხოების სფეროში გაძლიერებულ თანამშრომლობას და მხარს უჭერენ გამჭვირვალობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საერთაშორისო ბირთვული უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის შეთანხმებებთან სრულ შესაბამისობას.

13. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ განათლების, ახალგაზრდობისა და კულტურის სფეროების მნიშვნელობას. ისინი მიესალმებიან აკადემიური გაცვლითი პროგრამებისა და თანამშრომლობის გაზრდას ევროკავშირისა და აღმოსავლეთ ევროპულ პარტნიორებს შორის “Tempus” და “Erasmus Mundus” პროგრამების მეშვეობით, რამაც 2011 წლიდან, შესაძლებელი გახადა მეტი პარტნიორობისა და სტიპენდიის დაფინანსება, მონაწილეთა

მზარდი რაოდენობის სასარგებლოდ. ამასთან, ინიციატივამ - „აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდობის ფანჯარა“ (Eastern Partnership Youth Window) საგრძნობლად გაზარდა ერთობლივ პროექტებში მონაწილე ახალგაზრდებისა და ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავეთა რაოდენობა. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან იმ მიზნებს, რომლებსაც ხაზი გაესვა 2013 წლის 27-28 ივნისს ქ. თბილისში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კულტურის მინისტერიალზე მიღებულ დეკლარაციაში, ასევე, 2013 წლის 13 სექტემბერს, ქ. ერევანში განათლების საკითხებზე გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური მინისტერიალის შედეგებს. ისინი ასევე მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ფორუმის“ გამართვას 2013 წლის 22-25 ოქტომბერს ქ. კაუნასში.

14. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების წვლილს პარტნიორი ქვეყნების მდგრად და ინკლუზიურ განვითარებაში და მოსახლეობისათვის უსაფრთხო, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის საკვების მიწოდების მნიშვნელობას. ისინი მოელიან „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროპული სამეზობლო პროგრამის“ ფარგლებში გაძლიერებულ დარგობრივ თანამშრომლობას. სამიტის მონაწილეები ასევე მიესალმებიან სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მრავალმხრივი პანელის დაფუძნებას, რაც ასახავს პარტნიორ ქვეყნებში ფერმერებისა და ფერმერული მეურნეობების გაერთიანებათა მნიშვნელობას. სამიტის მონაწილეები ასევე, მიესალმებიან რეგიონული განვითარების მსხვილ პროგრამებს, რომლებიც პარტნიორ ქვეყნებს ეკონომიკური, სოციალური და რეგიონული დისბალანსის აღმოფხვრაში ეხმარება. სამიტის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მნიშვნელობას, ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით სამართლიანი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით, მიესალმებიან რა ამგვარი შეთანხმებების გაფორმებას მოლდოვას რესპუბლიკასა და საქართველოსთან და იმ ფაქტს, რომ შესაბამისი დებულებები გათვალისწინებულ იქნა უკრაინასთან პარაფირებულ DCFTA-ში.

15. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან კვლევისა და ინოვაციების სფეროში თანამშრომლობის გაფართოებას. მე-7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში მკვლევართა, კვლევითი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობამ, მათ შორის სამრეწველო დარგიდან, შეინარჩუნა ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით კონკრეტულ თემაზე ორიენტირებულ კვლევით საქმიანობათა სფეროში. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სპეციალური პანელის დაფუძნებას კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების საკითხებზე.

16. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ გარემოს დაცვის, როგორც თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროს, მნიშვნელობას, რომელიც ერთნაირად სასარგებლოა ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისათვის, როგორც გარემოს დაცვის, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ისინი მიესალმებიან პროგრესს, რომელიც მიღწეულ

იქნა მწვანე ეკონომიკის პრინციპების დანერგვის, გარემოსდაცვითი მმართველობის ხელშეწყობისა და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების განხორციელების კუთხით. ისინი აღიარებენ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებაზე ორიენტირებული პროგრამების როლს, ასევე, „რიო+20“-ის შემდგომი პროცესების კონტექსტში, მდგრადი განვითარების მიზნების ჩამოყალიბების ჩათვლით.

17. ბუნებრივ კატასტროფათა რისკის შემცირების საკითხთან დაკავშირებით, სამიტის მონაწილეები მიესალმებიან რეგიონული რისკების ელექტრონული ატლასის შექმნას და ხაზს უსვამენ ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მექანიზმებთან პარტნიორი ქვეყნების დაახლოებისა და მათი კატასტროფებისადმი მდგრადობის, კატასტროფების პრევენციისა და მართვის შესაძლებლობების გაზრდის მნიშვნელობას. ისინი ასევე მიესალმებიან ევროკომისიასა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის სამოქალაქო დაცვის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე ადმინისტრაციული შეთანხმების ხელმოწერას.

18. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ინფორმაციული საზოგადოებისა და მედიის სფეროში გაწეულ სამუშაოს, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასა და რეგულაციებთან შესაბამისი პარტნიორი ქვეყნების კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ჩარჩოს შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით. ამასთან ერთად, მონაწილეები მიესალმებიან პარტნიორ ქვეყნებში განათლებისა და კვლევისათვის შემდგომი ელექტრონული ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის კუთხით გაწეულ სამუშაოს.

19. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორების მხარდ მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებში და მათ თანამშრომლობას ევროკავშირის სააგენტოებთან. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ზოგიერთმა პარტნიორმა ქვეყანამ მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის რიგი პროგრამების კონკრეტულ კომპონენტსა თუ პროექტში. მოლდოვას რესპუბლიკა ჩაერთო კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების სფეროში ევროკავშირის მე-7 ჩარჩო პროგრამაში. სამიტის მონაწილეები მოელიან, რომ უახლოეს მომავალში ძალაში შევა პროტოკოლი, რომელიც სომხეთს ევროკავშირის ახალ პროგრამებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. ისინი მოელიან ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე პროტოკოლების ხელმოწერას აზერბაიჯანთან და საქართველოსთან. ხელი მოეწერა ევროკავშირის სააგენტოებთან ორმხრივი თანამშრომლობის შეთანხმებებს, მათ შორის ევროპული საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) სომხეთისა და მოლდოვას რესპუბლიკის მიერ; ევროპის პოლიციის კოლეჯთან (CEPOL) საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის მიერ; ევროპის ნარკომანიისა და ნარკოტიკების მონიტორინგის ცენტრთან (EMCDDA) მოლდოვას რესპუბლიკის მიერ; ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურთან (OLAF) მოლდოვას რესპუბლიკის მიერ; Frontex-თან საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ.

20. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან რეგულარულ მაკროეკონომიკურ დიალოგებს, მათ შორის, პარტნიორებთან მაკროეკონომიკური ინფორმაციის ურთიერთგაცვლასა და ანალიზს, მაკროეკონომიკური მმართველობის განმტკიცებისა და ეკონომიკურ სტაბილიზაციაში წვლილის შეტანის მიზნით. 2011 წლის სექტემბრიდან ევროკავშირმა განახორციელა მაკროფინანსური დახმარების პროგრამები მოლდოვას რესპუბლიკისა და სომხეთისათვის, ამ უკანასკნელთა ეკონომიკური კრიზისის საპასუხოდ. მიღებულ იქნა საკანონმდებლო გადაწყვეტილება საქართველოსთვის მაკროფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე და უკრაინასთან ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მაკრო-ფინანსური დახმარების შესახებ, ასევე, სასესხო შეთანხმებას.

21. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან პარტნიორ ქვეყნებში მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა პოლიტიკის შეფასების, მონიტორინგისა და განხორციელების კუთხით გაწეულ სამუშაოსა და პროექტებს, „ევროპის მცირე საწარმოების აქტის (Small Business Act for Europe (SBA))“ პრინციპების შესაბამისად.

22. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ ევროკავშირსა და ბელარუსს შორის გაძლიერებულ ორმხრივ დარგობრივ დიალოგებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა თანამშრომლობა ეკონომიკურ და ფინანსურ სფეროებში, გარემოს დაცვა და განათლება. ისინი მხარს უჭერენ ამ დარგობრივი დიალოგების შემდგომ განვითარებას.

23. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს. ისინი აღიარებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს კარგად ფუნქციონირებადი დემოკრატიის განუყოფელ ნაწილს. ისინი ხაზს უსვამენ სამოქალაქო საზოგადოების წვლილს პარტნიორობის ყველა შესაბამის ღონისძიებაში, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და მისი ეროვნული პლატფორმების ჩათვლით. ისინი მიესალმებიან სამოქალაქო საზოგადოებისადმი „სამეზობლოს სამოქალაქო საზოგადოების ინსტრუმენტის“ ფარგლებში გაწეულ დახმარებას. ასევე, 2013 წლის 4-5 ოქტომბერს, ქ. კიშინეუში გამართული „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის“ მე-5 შეხვედრის შედეგებს და სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მუდმივი სამდივნოს დაფუძნებას. ისინი მიესალმებიან, რომ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მე-6 შეხვედრა საქართველოში გაიმართება. სამიტის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ მრავალმხრივი პლატფორმების შეხვედრებში უნდა მოხდეს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის წარმომადგენელთა მონაწილეობის შემდგომი წახალისება.

24. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ასევე მიესალმებიან გაძლიერებულ თანამშრომლობას სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის Euronest-თან, CORLEAP-თან და „აღმოსავლეთ პარტნიორობის ბიზნეს ფორუმთან“.

25. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ თვალსაჩინოების გაზრდის მიმართულებით გაწეულ ძალისხმევას, ხაზს უსვამენ რა თვალსაჩინოების სტრატეგიის განხორციელების ინტენსიფიკაციის საჭიროებას, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით. ისინი მიზანშეწონილად მიიჩნევენ შემდგომი ძალისხმევის განხორციელებას პარტნიორ ქვეყნებში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ თაობაზე ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან საქართველოს მთავრობის მიერ 2014-2017 წლების კომუნიკაციისა და ინფორმაციის სტრატეგიის მიღებას. ისინი მიესალმებიან ვარშავის სამიტის შემდგომ, პარტნიორ ქვეყნებში ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრების რაოდენობის გაზრდას.

26. სამიტის მონაწილეები მხედველობაში იღებენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დონორთა კოორდინაციითა და ზოგადად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ განვითარებით, მათ შორის, ინფორმაციისა და კოორდინაციის არაფორმალური ჯგუფის (Informal Information and Coordination Group) მეშვეობით, პრადის დეკლარაციით განსაზღვრული, მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის პრინციპების დაცვით.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომდევნო ფაზა

27. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები თანხმდებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მომავალზე ორიენტირებულ, მომდევნო ორ წელზე გაწერილ დღის წესრიგზე, რომელიც განამტკიცებს და განავითარებს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს. ევროკავშირი და შესაბამისი პარტნიორი ქვეყნები შეთანხმებებზე მოლაპარაკებების ფაზიდან გადადიან თვისობრივად ახალ, გამოწვევებით აღსავსე, განხორციელების ფაზაზე. სამიტის მონაწილეები აღიარებენ, რომ ამ შეთანხმებების განხორციელებისათვის, რომელთა შორსმომავალ მიზანს ყოვლისმომცველი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოდერნიზაცია წარმოადგენს, საჭიროა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნება, რათა გატარდეს პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისათვის სასარგებლო რეფორმები. ევროკავშირი ერთგულია აღებული ვალდებულებისა, მხარი დაუჭიროს პარტნიორებს ამ პროცესში, შეაფასოს მიღწეული პროგრესი ევროკომისიისა და უმაღლესი წარმომადგენლის ყოველწლიური პროგრესის ანგარიშების საშუალებით. ეს ასევე მოითხოვს პარტნიორი ქვეყნების ხელისუფლების მიერ, ევროკავშირის სათანადო მხარდაჭერით, ყოვლისმომცველი საინფორმაციო და კომუნიკაციის კამპანიის დაწყებას, რამაც უნდა მოიცვას მოსახლეობის ფართო ფენა. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ ორმხრივ ურთიერთობებში დიფერენციაციის მნიშვნელობას, მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომ გაძლიერებასთან ერთად.



28. მოიხმობენ რა პრადისა და ვარშავის დეკლარაციებში კონფლიქტების შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე მოგვარებასთან დაკავშირებით არსებულ ჩანაწერებს, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროკავშირის განზრახვას, გააძლიეროს მხარდაჭერა სტაბილურობისა და მრავალმხრივი ნდობის აღდგენის შემდგომი ხელშეწყობის მიმართ. ისინი მიესალმებიან ევროკავშირის გაძლიერებულ როლს კონფლიქტის მოგვარების პროცესში და ნდობის აღდგენისკენ მიმართულ ძალისხმევას, არსებული შეთანხმებული ფორმატებისა და პროცესების ფარგლებში ან მათი მხარდაჭერის გზით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, უშუალოდ ადგილზე ყოფნით. ისინი ხაზს უსვამენ უახლოეს მომავალში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საჭიროებას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების საფუძველზე. ისინი მიესალმებიან ახლახანს ვენაში სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრას ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებთან ერთად და პრეზიდენტების შეთანხმებას, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით მოლაპარაკებების გაგრძელების შესახებ. მონაწილეები მხარს უჭერენ სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის საქმიანობას. ისინი ხაზს უსვამენ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად განხორციელების საჭიროებასა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის არსებობის მნიშვნელობას. მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მანდატის სრულად განხორციელების საჭიროებას და განმეორებით ადასტურებენ მხარდაჭერას ყენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მიმართ. მონაწილეები ხაზს უსვამენ დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით პროგრესის მნიშვნელობას და მოელიან წინსვლას „5+2 ფორმატში“ მიმდინარე მოლაპარაკებებში, შეთანხმებული დღის წესრიგის სამივე ბლოკში, განსაკუთრებით ინსტიტუციონალურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე. ისინი ასევე დადებითად აფასებენ იმ მნიშვნელოვან საქმიანობას, რასაც EUBAM ახორციელებს მოლდოვას რესპუბლიკისა და უკრაინის საზღვარზე.

29. სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი კვლავ ჩართული იქნება მოდერნიზაციის თაობაზე დიალოგში ბელარუსის საზოგადოებასთან და, რომ, ევროკავშირსა და ბელარუსის მთავრობას შორის გრძელდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოდერნიზაციის საკითხებზე სამომავლო თანამშრომლობის საუკეთესო ფორმის განსაზღვრის მიზნით.

ასოცირების შესახებ შეთანხმებები და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA)

30. სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ ევროკავშირსა და შესაბამის პარტნიორ ქვეყნებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებების, DCFTA-ის ჩათვლით ხელმოწერის, დროებითი გამოყენებისა და რატიფიკაციისათვის საჭირო ნაბიჯების მაქსიმალურად

სწრაფად განხორციელების მნიშვნელობას. ისინი ხაზს უსვამენ, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმებების/DCFTA-ს განხორციელება იქნება ევროკავშირთან პარტნიორი ქვეყნების უფრო ღრმა პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული ფუნდამენტური ნაბიჯი. ამ კონტექსტში, შეთანხმებების წარმატებით განხორციელება და ევროკავშირის შიდა ბაზარზე პარტნიორი ქვეყნების ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია გააძლიერებს პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობას, ეფექტური კონკურენცია გასწიონ საერთაშორისო ბაზარზე; სარგებელს მოუტანს უშუალოდ როგორც მომხმარებელს, ასევე, ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებსა და მეწარმეებს, ვინაიდან მოხდება საჯარო სამსახურების მოდერნიზაცია და ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოება, მათ შორის კონკურენციის პოლიტიკის, ინტელექტუალური საკუთრების, საკვების უსაფრთხოების, მომხმარებელთა დაცვის, საბაჟო, სახელმწიფო შესყიდვების, მომსახურებისა და საგზაო უსაფრთხოების სფეროებში. ისინი ხაზს უსვამენ, რომ DCFTA-ს მიმართულებით პროგრესის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ეკონომიკების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც მიესაღწებიან კონკურენციას, აქვთ კარგად ფუნქციონირებადი ინსტიტუტები და საკანონმდებლო ბაზა, რაც ბიზნესისა და ინვესტიციებისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს.

31. 2014-15 წლებში, შესაბამის პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა და დიალოგი წარმართება ასოცირების შესახებ შეთანხმებების/DCFTA-ს დებულებების განხორციელების საკითხების ირგვლივ, განსაკუთრებით ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან დაახლოების სფეროში. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირი და აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორები ერთად განახორციელებენ რიგ მოსამზადებელ ღონისძიებებს, მათ შორის, პარტნიორი ქვეყნების ინსტიტუტების გაძლიერების მიმართულებით, რათა მომზადდეს ნიადაგი ასოცირების შესახებ შეთანხმებების/DCFTA-ს დანართებში განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიებების განრიგის შესრულების უზრუნველსაყოფად.

#### დარგობრივი თანამშრომლობა

32. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მობილურობის დღის წესრიგი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება 2014-15 წლებისათვის. სამიტის მონაწილეები მოელიან პროგრესს ცალკეული ქვეყნებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღების მიმართულებით, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, უსაფრთხო და კარგად მართული მობილურობის პირობებში. ამავდროულად, ისინი მხარს უჭერენ სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ შეთანხმებებათა დებულებების სრულად განხორციელებას და წევრ ქვეყნებს, გამოიყენონ სავიზო კოდექსით გათვალისწინებულიშეღვათები.

33. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები გამოხატავენ მზაობას, გააძლიერონ დაინტერესებულ აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა და კოორდინაცია, თავისუფლებასთან, უსაფრთხოებასა და

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სფეროებში. მიგრაციისა და მობილურობისადმი ევროკავშირის გლობალური მიდგომის თანახმად, დიალოგი და თანამშრომლობა მოიცავს უსაფრთხო და კარგად მართული მიგრაციისა და მობილურობის მხარდაჭერას, არალეგალური მიგრაციისა და ადამიანებით ვაჭრობის პრევენციასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას, საერთაშორისო დაცვის გაძლიერებასა და განვითარებაზე მიგრაციის ზეგავლენის გაზრდას. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ ორგანიზებული და ტრანსნაციონალური დანაშაულების, ნარკოტიკების, კორუფციისა და კიბერდანაშაულების პრევენციისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში, ასევე, სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის გაზრდის მნიშვნელობას. მინისტრთა დონეზე შემდგომი შეხვედრების ჩატარება ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკური მართვისა და კოორდინაციის უზრუნველყოფას. მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პანელი გააგრძელებს მობილურობის გაფართოებულ დღის წესრიგთან დაკავშირებით დიალოგისა და თანამშრომლობის გაძლიერების მხარდაჭერას. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პანელი წვლილს შეიტანს კორუფციის პრევენციისა და მასთან ბრძოლაზე ორიენტირებული ინსტრუმენტებისა და ღონისძიებების განვითარებასა და განხორციელებაში. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მხარს უჭერენ თანამშრომლობის შემდგომ ინტენსიფიკაციას პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირის სააგენტოებს შორის მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების სფეროში.

34. ტრანსპორტის დარგში, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მოელიან კონკრეტული ქმედებების განხორციელებას, რაც გაზრდის ევროკავშირისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სატრანსპორტო მიმოსვლის უსაფრთხოებას, ეფექტიანობასა და მდგრადობას და დადებით ზეგავლენას მოახდენს სავაჭრო ბრუნვაზე. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ უკრაინასთან ერთიანი საავიაციო სივრცის შეთანხმების მოკლე ვადაში ხელმოწერის და მისი ძალაში შესვლის მნიშვნელობას; მოელიან წინსვლას ავიაციის სფეროში აზერბაიჯანთან მიმდინარე მოლაპარაკებებში, ასევე, მსგავსი მოლაპარაკებების დაწყებას სომხეთთან. სამიტის მონაწილეები მოელიან სამომავლოდ შიდა სანაოსნო გზების ჩართვას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონულ სატრანსპორტო ქსელში. ისინი ხაზს უსვამენ ევროკავშირისა და საქართველოს, ასევე ევროკავშირისა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ შეთანხმებების დროულად რაფიტიკაციის მნიშვნელობას. ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შემდგომი ნაბიჯები ფოკუსირებული იქნება ტრანსპორტის ყველა სახეობაში რეგულირების სფეროში დაახლოებასა და პრიორიტეტული პროექტების განხორციელებაზე, ევროპული და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით.

35. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მოიხმობენ რა ენერგეტიკის სფეროში თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას და საერთო ინტერესს ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერების მიმართ, მათ შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, ადასტურებენ თავიანთ განზრახვას, მოხდეს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება. საბაზრო ინტეგრაციას ხელს შეუწყობს

ევროკავშირის შიდა ბაზრის სრულყოფა, დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის დასრულების ჩათვლით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, DCFTA-ს და ენერგოგაერთიანების შესახებ შეთანხმების, ისევე, როგორც სხვა შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების, მათ შორის ენერგეტიკული ქარტიის ხელშეკრულების განხორციელება. მონაწილეები თანხმდებიან, პარტნიორებსა და ევროკავშირის ენერგობაზარს შორის კავშირების დამყარებისა და გაუმჯობესების მიზნით, ითანამშრომლონ ორმხრივად მიმზიდველი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიმართულებით, მათ შორის, ევროკავშირის გაძლიერებული მხარდაჭერით, არსებული ინსტრუმენტების ფარგლებში. მონაწილეები აღნიშნავენ ენერგოეფექტურობის გაზრდისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების, ასევე, მწვანე ენერჯის ტექნოლოგიის სფეროში შესაძლებლობების განვითარების მიმართულებებით ძალისხმევის თანმიმდევრულად გაძლიერების მნიშვნელობას. ისინი მხარს უჭერენ მაქსიმალურად შესაძლო აქტიურ მონაწილეობას „მერების შეთანხმებაში“ (Covenant of Mayors) და მიესალმებიან გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად „აღმოსავლეთ ევროპის ენერგო ეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობა“ (E5P) უკრაინასთან ერთად გავრცელდება სომხეთზე, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკაზე. მონაწილეები მიესალმებიან ბირთვული უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივებს. ისინი მოელოდნენ ბირთვული სტრეს-ტესტების განხორციელებასა და ამის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციებს.

36. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები გამოხატავენ მზაობას საბაჟო საკითხებში თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერების მიმართ, მათ შორის ინტეგრირებული საზღვრის მართვის საშუალებით. თანამშრომლობა ორიენტირებული იქნება რეგიონში უსაფრთხო და ლიკვიდური სავაჭრო გზების განვითარებაზე, რისკის მართვისა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობასა და ასევე, საბაჟო სფეროს მოდერნიზაციაში ინვესტირებაზე.

37. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ ხალხთა შორის კონტაქტების მნიშვნელობას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. უმაღლესი განათლებისა და ახალგაზრდობის სფეროებში, ევროკავშირის მხარდაჭერა მიზნად ისახავს ახალ “Erasmus+” პროგრამაში პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სტუდენტების მონაწილეობის გაზრდას. პროგრამის “Marie Skłodowska-Curie” მხარდაჭერა კვლავ გაგრძელდება და შეძლებისდაგვარად გაიზრდება კიდევ. ახალგაზრდობის საკითხებზე თანამშრომლობა, მათ შორის “Erasmus+” პროგრამის ფარგლებში, გაზრდის ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას დემოკრატიულ ცხოვრებაში. სამიტის მონაწილეები ასევე, ხაზს უსვამენ, კულტურის სფეროში „შემოქმედებითი ევროპის პროგრამით“ გახსნილ თანამშრომლობის შესაძლებლობებს. გაგრძელდება პოლიტიკური დიალოგი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში კულტურის პოლიტიკის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით. ასევე, გაგრძელდება

პოლიტიკური დიალოგი ჯანდაცვის პოლიტიკის თაობაზე, რომლის დროსაც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება როგორც გადამდებ, ისე არაგადამდებ დაავადებებზე და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე.

38. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების გაძლიერების თვალსაზრისით, სამიტის მონაწილეები მიესალმებიან მოლდოვას რესპუბლიკის განზრახვას, 2014 წლის იანვარში უმასპინძლოს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სოფლის მეურნეობის მინისტრების კონფერენციას, რომელიც მიზნად ისახავს, საჭიროებისამებრ, ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ხელშეწყობას, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისა და სოფლის სექტორის რეფორმების მხარდაჭერითა და ამ სფეროში ევროკავშირთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარებით, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) საშუალებით. ENPARD-ის განხორციელების პრინციპებს შორის, ისინი ხაზს უსვამენ სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და პარტნიორობის მხრიდან პროგრამის მფლობელობაზე აღებული პასუხისმგებლობის მნიშვნელობას. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ საკვების უსაფრთხოების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და მცენარეთა დაცვის კუთხით თანამშრომლობისა და ამ სფეროებში, არსებული ინსტრუმენტებით ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის გაგრძელების მნიშვნელობას.

39. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ კვლევისა და ინოვაციების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ზრდის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორების მნიშვნელობას და ხაზს უსვამენ ამ სფეროში გაძლიერებული თანამშრომლობის საჭიროებას, ცოდნისა და ტექნოლოგიური განვითარების საერთო სივრცის შექმნის მიზნით. ისინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ კვლევისა და ინოვაციების სფეროებში აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების შესაძლებლობებისა და ასევე, ევროკავშირის მომავალი პროგრამის - “Horizon 2020” ფარგლებში თანამშრომლობის გაძლიერების მხარდაჭერის საჭიროებას.

40. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ გარემოს და კლიმატის ცვლილების სფეროებში, როგორც პრიორიტეტულ სამოქმედო მიმართულებებში, თანამშრომლობის სტრატეგიულ მნიშვნელობასა და საჭიროებას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ამ სფეროებში ნორმატიული და პოლიტიკური დაახლოების პროცესის წარმართვის მნიშვნელობას, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მწვანე ეკონომიკას, ბიომრავალფეროვნებას, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საერთო სისტემასა და გარემოს დაცვის დონის შეფასებას, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების სხვა სექტორებში ინტეგრაციას და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს. ისინი მოუწოდებენ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების სრული და ეფექტიანი განხორციელებისა და ეკონომიკის გამწვანების მიმართულებით ძალისხმევის გაგრძელებას, მათ შორის ისეთი ღონისძიებების გატარებისკენ, რომლებსაც მოიცავს კონფერენცია - “Rio+20” ფარგლებში მიღებული

დეკლარაცია - „მომავალი, რომელიც გვინდა“. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოებებისა და ეკონომიკების ჩართულობის მნიშვნელობას იმ ღონისძიებების გატარებისა და თანამშრომლობის პროცესში, რომელიც მიმართული იქნება, სათბურის გაზების ემისიის შემცირებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების მიზნით, მათი საქმიანობის გაძლიერებაზე. ამ მხრივ, ისინი მტკიცედ ადასტურებენ თავიანთ ჩართულობას კლიმატის ცვლილების თაობაზე გლობალური შეთანხმების შემუშავების პროცესში, რომლის მიღება იგეგმება 2015 წელს ქ. პარიზში, იმისათვის რომ შეთანხმება 2020 წლიდან შევიდეს ძალაში და დაიწყოს მისი განხორციელება. ისინი ხაზს უსვამენ ევროკავშირის დახმარების საჭიროებას, განსაკუთრებით, სრულყოფილად ფუნქციონირებადი საერთო გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის დაარსების, ასევე, 2020 წლისა და უფრო გრძელვადიანი პერიოდისთვის გაწერილი ამბიციური საქმიანობის განხორციელებისა და რეგიონული გარემოსდაცვითი ინიციატივების ხელშეწყობის მიზნით.

41. ინფორმაციული საზოგადოებისა და მედიის პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს უნივერსალური და ევროპული ღირებულებების, პოლიტიკური სტაბილურობის, ეკონომიკური ზრდის და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროკავშირის მხარდაჭერით, შესაძლებლობების განვითარების გაგრძელებას ელექტრონული კომუნიკაციების რეგულირების სფეროში, ასევე, მასთან დაკავშირებული სფეროების ხელშეწყობას, როგორცაა ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონული ჯანდაცვის სისტემა და მედია, რაც მიზნად ისახავს საერთო სივრცის შექმნას დაკავშირებული საზღვრისპირა მომსახურებებისთვის. ისინი, ასევე, ელიან პარტნიორობის მონაწილეობას “Horizon 2020” პროგრამის შესაბამის ნაწილში და მათ გაძლიერებულ ჩართულობას განათლებისა და კვლევის სფეროში ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

42. სამიტის მონაწილეები ხაზს უსვამენ, აღმოსავლეთ ევროპული პარტნიორობის ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობისა და მათი ევროკავშირის სააგენტოებთან თანამშრომლობის მნიშვნელობას.

#### მრავალმხრივი თანამშრომლობის გაძლიერება

43. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები აღიარებენ მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მხარდაჭერისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ორმხრივი განზომილება მოლაპარაკებების ფაზიდან ეტაპობრივად გადადის განხორციელების ფაზაში, მნიშვნელოვანია, ორმხრივ და მრავალმხრივ განზომილებებს შორის კავშირის გაძლიერება, რათა მრავალმხრივი განზომილების ფარგლებში, კვლავაც გაგრძელდეს პარტნიორი ქვეყნების მიერ ევროკავშირთან დაახლოებისკენ მიმართული ძალისხმევების მხარდაჭერა. მრავალმხრივმა განზომილებამ უნდა შეავსოს ორმხრივი განზომილება და ხელი შეუწყოს სინერჯის დაცვას. ამავდროულად, მრავალმხრივი განზომილების ფორუმები

სწორედ ის ადგილია, სადაც შესაძლებელია ევროკავშირსა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ექვს ქვეყანას შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ამდენად, ასეთი ფორუმების დღის წესრიგი შემდეგშიც უნდა იყოს ყოვლისმომცველი და ხელი შეუწყოს ფორუმში ყველა მონაწილის აქტიურ ჩართვას. მრავალმხრივი პლატფორმების ახლადდამტკიცებული სამუშაო პროგრამები ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. მონაწილეები, მიესალმებიან რა დარგობრივ მინისტრთა შეხვედრებს სამართლისა და საშინაო საქმეების, ასევე, ტრანსპორტის სფეროებში, მოუწოდებენ მინისტრთა დონეზე შეხვედრების რეგულარულად გამართვას, საჭიროებისამებრ, ამ და სხვა სფეროებში. ვილნიუსის სამიტის მონაწილეებმა, პარტნიორობის უკვე არსებული არაფორმალური დიალოგების გათვალისწინებით, მიიღეს საგარეო პოლიტიკის სფეროში სტრუქტურული დიალოგის დაწყების გადაწყვეტილება, მათ შორის, საჭიროებისამებრ, მინისტრთა და მაღალი რანგის ოფიციალურ პირთა დონეზე რეგულარული შეხვედრების ფორმატის გაძლიერებით. მონაწილეები მიესალმებიან და ელიან ისეთი დამატებითი და მძლავრი ეროვნული პროგრამების განხორციელებას, როგორცაა, მათ შორის, ადმინისტრაციულ პოტენციალზე ფოკუსირებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ესტონური ცენტრი და სახელმწიფო მართვის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ აკადემია, ქ. ვარშავაში.

44. კიდევ ერთხელ აღნიშნავენ რა საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ელიან ევროკავშირსა და დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებს შორის უსაფრთხოების საკითხებზე ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგის წარმოებასა და CSDP-ის კუთხით პრაქტიკულ თანამშრომლობას, მეტწილად, CSDP-ის პანელის მიერ განხორციელებული საქმიანობის საშუალებით. მონაწილეები ხაზს უსვამენ იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ასეთი ფორუმი შეასრულებს დაინტერესებულ პარტნიორ ქვეყნებთან, მონაწილეობის თაობაზე ჩარჩო-შეთანხმებებით გათვალისწინებულ სფეროებში, თანამშრომლობის განვითარების მხარდაჭერის კუთხით. ისინი მიესალმებიან 2014 წლის იანვარში უკრაინული ფრეგატის მონაწილეობას ევროკავშირის ხელმძღვანელობით მიმდინარე ოპერაციაში EUNAVFOR Atalanta, ასევე, საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკის მზადყოფნას, წვლილი შეიტანონ ევროკავშირის ოპერაციებში, რომელშიც იქნენ მიწვეულნი. სამიტის მონაწილეები ასევე აფასებენ უკრაინის მიერ აღებულ ვალდებულებას 2014 და 2016 წლებში ევროკავშირის საბრძოლო შენაერთებში წვლილის შეტანის თვალსაზრისით.

45. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები, ასევე, ხაზს უსვამენ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი განზომილების მნიშვნელობას, პარტნიორებს შორის და ასევე, მათი ევროკავშირთან თანამშრომლობის გაძლიერების თვალსაზრისით, მათ შორის ტერიტორიული, განსაკუთრებით საზღვრისპირა თანამშრომლობის გზით.

46. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მოუწოდებენ ევროკომისიას ეფექტიანი და თვალსაჩინო საფლაგმანო ინიციატივების შემდგომი ხელშეწყობისა და გაძლიერებისკენ, რაც დამატებით ღირებულებას სძენს არსებულ თანამშრომლობას, ევროკავშირის წევრი

სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების გაძლიერებული მონაწილეობით. აღნიშნული პრაქტიკული პროექტების განხორციელება, ხელს შეუწყობს მოქალაქეებისთვის „აღმოსავლეთ პარტნიორობით“ მიღებული ხელშესახები უპირატესობების დემონსტრირებას.

47. პარტნიორ ქვეყნებში ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი განხორციელების ფარგლებში, გაგრძელდება მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული მდგრადი და ეფექტიანი პოლიტიკის შეფასებისა და განხორციელების მხარდაჭერა.

48. სამიტის მონაწილეები, აღიარებენ რა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის მნიშვნელობას, ხაზს უსვამენ, სხვადასხვა რეგიონულ ინიციატივასა და ქსელებს შორის ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მნიშვნელობას. მონაწილეები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობას“ შეუძლია ხელი შეუწყოს თვით პარტნიორ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო კავშირების განვითარებას.

49. მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, საჭიროებისამებრ, ევროკავშირის მაკრო-რეგიონალური სტრატეგიების განხორციელებაში პარტნიორობის ჩართულობის საშუალებით, განვითარებადი რეგიონალური თანამშრომლობის მნიშვნელობას. მათ, ასევე მოუწოდეს ეფექტიანი რეგიონთაშორისი და საზღვრისპირა თანამშრომლობის დიალოგის, „ტერიტორიული თანამშრომლობის ევროპული დაჯგუფების“ (EGTC) ჩათვლით, განვითარებისკენ, პარტნიორობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების გამარტივების მიზნით.

50. სამიტის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეების მონაწილეობის მნიშვნელოვან როლს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნების განხორციელებაში. ადგილობრივი დემოკრატია წარმოადგენს უნივერსალურ ევროპულ ღირებულებას, რომელიც დამტკიცებულია ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტიის მიერ. ადგილობრივი მთავრობები წარმოადგენენ მნიშვნელოვან როლს საჯარო მომსახურებების უზრუნველყოფაში. მონაწილეები მხარს უჭერენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ჩართვას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიების განხორციელებაში და მოუწოდებენ ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ეროვნული ასოციაციებისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების წარმომადგენელთა კონფერენციის (CORLEAP) წარმომადგენლებს „აღმოსავლეთ პარტნიორობაში“ მათი წვლილის გაძლიერებისკენ. ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების როლი ასევე, შესაძლოა გაძლიერდეს მიზნობრივი მხარდაჭერის საშუალებით, მათ შორის, შესაძლებლობების განვითარებით.

#### ფინანსური დახმარება

51. სამიტის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ახალი ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI), რომელიც ჩაანაცვლებს ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის



ინტრუმენტს (2007-2013), 2014-2020 წლებში იქნება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნებისთვის ევროკავშირის ფინანსური დახმარების ძირითადი ინსტრუმენტი. ისინი აღნიშნავენ, რომ გაგრძელდება პარტნიორი ქვეყნების მიერ ფინანსური დახმარების მიღება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის მიმოხილვის მიერ შემოღებული სტიმულზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად. დახმარება ფოკუსირებული იქნება რამდენიმე კონკრეტულ სექტორზე და მიზნად დაისახავს საკუთრების, ხარისხის და შედეგების გაზრდას, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებების მოდერნიზაციისა და სოციალური ერთობის შექმნის ხელშეწყობის საშუალებებს. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტის ფარგლებში, ევროკავშირის დახმარება უმთავრესად მიმართული იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმებების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის ჩათვლით, განხორციელებისკენ, ეფექტიანი ნორმატიული დაახლოებისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებისკენ. ისინი თანხმდებიან, რომ მომავალში ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასოცირების შესახებ შეთანხმებების, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცეების ჩათვლით, ნაწილობრივი გამოყენება და ხელი შეეწყოს ამ მიმართულებით საჭირო კონსულტაციების გამართვას. დახმარების მრავალმხრივი კომპონენტის ორი კონკრეტული ინიციატივის ფარგლებში, როგორცაა სამეზობლო საინვესტიციო მექანიზმი (NIF) და საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა (CBC), გაგრძელდება სხვადასხვა პრიორიტული სფეროების ფინანსური მხარდაჭერა. სამიტის მონაწილეები მოელიან, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, ახლახანს დაწყებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის შედეგებს. ხაზგასმით აღნიშნავენ რა, აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების ყველა დონორის მხრიდან მათთვის გაწეული დახმარების გაძლიერებული კოორდინაციისა და თანმიმდევრულობის მნიშვნელობას, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეფორმების დღის წესრიგი მიჩნეულ უნდა იქნას როგორც ევროკავშირის მთლიანი დახმარების ძირითადი საფუძველი.

52. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები მიესალმებიან ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ, პარტნიორი ქვეყნებისთვის დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმების განხორციელების პროცესში უკვე გაწეულ მხარდაჭერას, ისევე, როგორც ამ მხარდაჭერის გაგრძელებას მომავალში. ისინი მიესალმებიან ევროპის საინვესტიციო ბანკის განზრახვას, გააფართოვოს თავისი საქმიანობა, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფინანსური პროექტებით გათვალისწინებულ იმ სამომავლო საგარეო სასესხო მანდატზე დაყრდნობით, რომელიც ემსახურება შემდეგ მიზნებს: ევროკავშირის დაკავშირება აღმოსავლეთ სამეზობლოსთან, განვითარების ტემპის ზრდა და რეგიონში ენერგეტიკასთან, გარემოს დაცვასა და ტრანსპორტთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებზე რეაგირება. ეკონომიკური განვითარების, ინოვაციებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ელიან ევროპის საინვესტიციო ბანკის ძალისხმევას, აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში სარისკო

კაპიტალთან დაკავშირებული ოპერაციების შემდგომი მხარდაჭერის მექანიზმის მოსაპიბლად, ამ სფეროში, რეგიონში მოღვაწე ევროპის სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით. ისინი მიესალმებიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) განზრახვას, განაგრძოს კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერა, განსაკუთრებით, ფინანსური სექტორის გაძლიერებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებულ ფინანსებზე წვდომის გამარტივებით და ასევე, მის განზრახვას მდგრადი ენერჯეტიკისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის კუთხით.

53. გათვალისწინებულია უკრაინასა და საქართველოში მაკრო-საფინანსო დახმარების პროგრამების გაგრძელება 2014-2015 წლებში, მას შემდეგ რაც შესრულდება წინაპირობები და აღნიშნული პროგრამები მიეხმება მნიშვნელოვანი რეფორმების დღის წესრიგს. ასევე, მომავალში, წინაპირობების შესრულებისა და პროგრამების მნიშვნელოვანი რეფორმების დღის წესრიგთან დაკავშირების შემთხვევაში, შესაძლოა მოხდეს ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების ინსტრუმენტის მობილიზება პარტნიორი ქვეყნების მხადასაჭერად, რათა მათ შეძლონ საგადასახდელო ბალანსთან დაკავშირებული მოკლევადიანი სირთულეების დაძლევა. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში დიალოგის გაგრძელებამ, ანალიზისა და რჩევების ურთიერთგაცვლამ შესაძლოა განაპირობოს სტრუქტურული რეფორმების შემდგომი განხორციელება, ფისკალური კონსოლიდაცია და შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება.

#### დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

54. ვილნიუსის სამიტის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი გაძლიერების საჭიროებას. სამიტის მონაწილეები, ასევე, აღიარებენ პარტნიორების რეფორმების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მიერ შესრულებულ მნიშვნელოვან როლს სამოქალაქო საზოგადოებასა და პარტნიორი ქვეყნების ხელისუფლებებს შორის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული დიალოგის ხელშეწყობაში, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისა და მისი ეროვნული პლატფორმების საშუალებით. მონაწილეები ხაზს უსვამენ შემდგომი დამატებითი რესურსების გამოყოფის მნიშვნელობას, საჭიროებისამებრ, სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარებისა და ეროვნული რეფორმების პროცესში მათი შემდგომი ჩართულობის მხარდაჭერის მიზნით.

55. სამიტის მონაწილეები მიესალმებიან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების კონფერენციის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს მოქალაქესთან ყველაზე ახლოს მყოფ ხელისუფლების შესაბამის დონეებთან თანამშრომლობის განვითარების კუთხით და მხედველობაში იღებენ ქ. ვილნიუსში, 2013 წლის 4-5 სექტემბერს ჩატარებული ყოველწლიური შეხვედრის შედეგებს. სამიტი,

ასევე, მოუწოდებს მხარეებს ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში პარლამენტთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებისკენ 2014-15 წლებში.

56. მიესალმებიან რა 2013 წლის 28 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში ჩატარებულ ბიზნეს-ფორუმის შედეგებს, ვილნიუსის სამიტის მონაწილეები, სთავაზობენ ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების ბიზნეს-საზოგადოებებს, განაგრძონ ბიზნეს-ფორუმის შემდგომი განვითარება და გამოიყენონ ეს პლატფორმა შემოთავაზებული ახალი ეკონომიკური შესაძლებლობებით სარგებლობისთვის. ისინი, ასევე, მოუწოდებენ სოციალურ პარტნიორებს (დამსაქმებელთა ორგანიზაციებს და პროფკავშირებს) უფრო მჭიდრო ერთობლივი მუშაობისკენ, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის გამოყენების საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს 2014-15 წლებში ევროკავშირთან ეკონომიკური და ნორმატიული დაახლოების კუთხით პროგრესის მიღწევას. სამიტის მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ ინვესტიციების მოზიდვის და კვლევით-ინდუსტრიული პარტნიორობის მხარდაჭერის საჭიროებას, ისევე როგორც, ძლიერი და ინოვაციური მცირე და საშუალო ბიზნეს-სექტორების განვითარების მნიშვნელობას, რაც ხელს შეუწყობს ფართომასშტაბიან ინკლუზიურ ზრდასა და სამუშაო ადგილების შექმნას. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, მცირე და საშუალო ბიზნესის როლს პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების საქმეში და ასევე, ხაზს უსვამენ მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნაზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელების საჭიროებას, ინვესტიციების მოზიდვის გამარტივების მიზნით. ისინი აღიარებენ ეფექტიანი სოციალური დიალოგის წვლილს სოციალურ-ეკონომიკური რეფორმებისა და ინკლუზიური ზრდის მხარდაჭერაში. მონაწილეები მიუთითებენ, რომ მათი მიზანია დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სფეროში პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაზრდა, განსაკუთრებით, სოციალური პარტნიორების ჩართვის გზით.

57. სამიტის მონაწილეები იწვევენ ევროკავშირის ინსტიტუტებს, წევრ სახელმწიფოებს, აღმოსავლეთ ევროპულ პარტნიორებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ხელი შეუწყონ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ხილვადობის სტრატეგიის განხორციელებას, პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის საზოგადოებების შემდგომი ინფორმირების გზით, პარტნიორობიდან, ასევე პარტნიორობის ფარგლებში გაფორმებული შეთანხმებების განხორციელებით, მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და მთლიანად, საზოგადოებისთვის მიღებული სარგებლის შესახებ.

58. სამიტის მონაწილეები მოელიან 2015 წლის პირველ ნახევარში, ქ. რიგაში დაგეგმილ მომდევნო სამიტს, სადაც მიზნად ისახავენ წინამდებარე დეკლარაციისა და დადებული შეთანხმებების განხორციელების მიმოხილვასა და პარტნიორობის ფარგლებში სამომავლო გზის დასახვას.